საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დადიანი ივანე

დადიანი ივანე (იოვანე), ერისთავთერისთავი XI ს. შუა წლებში, დადიანების საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი, რაც წერილობითი წყაროებითაა დამოწმებული. დ. „ქართლის ცხოვრებაში" მოხსენიებულია იმ დიდებულთა შორის, რ-ებიც ლიპარიტ ბაღვაშმა ბაგრატ IV-თან შინაომის დროს ანისიდან გამოიტყუა და შეიპყრო. დ. მოხსენიებულია ასევე XI ს. ერთი ხელნაწერის ანდერძმინაწერში, რ-იც თავის დროზე ნიკორწმინდის ეკლესიაში ინახებოდა.

თ. ბერაძე